ოქმი N7

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეხუთე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2023 წლის 28 ივნისი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 19 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა მამუკა ქარდავა - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე “ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის

საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის

კომისიის თავმჯდომარე);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური

განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

4. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური

განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

5. „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2023 წლის მუნიციპალური პროგრამისა და თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N44 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის,

საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი);

6. ხობის მუნიციპალიტეტის 2020 – 2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის თაობაზე;

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

7. საკრებულოს წევრის მ. იოსავას მოხსენება.

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 19, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ჯიშკარიანი, ჯ. ჯიშკარიანი, თ. ქირია, მ. ხუხია, ფ. წურწუმია, ვ. ფოცხორაია, ნ. ბოკუჩავა, ლ. ადანაია, გ. ქარდავა)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე “ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის

საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე “

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. იოსავა - გამომსვლელი დაინტერესდა, რომ ახალი ა(ა)იპი-ს დაფუძნების შემთხვევაში შტატების დუბლირება ხომ არ მოხდებოდა?

სხდომის თავმჯდომარემ (მ. ქარდავა) განაცხადა, რომ ჯერჯერობით ბოლომდე არ იყო შტატები დაკომპლექტებული და შესაბამისი სამსახური ეტაპობრივად მოაწვდიდათ ინფორმაციას აღნიშნულთან დაკავშირებით, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ლიპარტია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ლ. ლიპარტია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ პრიორიტეტებისა და გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის თანახმადაც ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში ხორციელდება 2023 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთის 860,6 ათასი ლარის აისახვა, რომელიც მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად: პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“ ასიგნებაზე 405,3 ათასი ლარი, აქედან: 405,3 ათასი ლარი - მუხლის ,,არაფინანსური აქტივები“ ასიგნებაზე,

მათ შორის: 362,3 ათასი ლარი - ა(ა)იპ ,,ხობის მუნიციპალიტეტის სპორტის ცენტრი"-სთვის შესაძენი მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის შეძენა, 43,0 ათასი ლარი - ა(ა)იპ ,,ხობის მუნიციპალიტეტის სპორტის ცენტრი" - ს ელ.ენერგიის სიმძლავრის 121 კვტ-მდე გაზრდის საფასურის ასიგნება; პრიორიტეტის ,,კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები" ასიგნებებზე 455,3 ათასი ლარი, აქედან: 455,3 ათასი ლარი - ა(ა)იპ ,,ხობის მუნიციპალიტეტის სპორტის ცენტრი"-ს სუბსიდიის ასიგნებაზე. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 19, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ჯიშკარიანი, ჯ. ჯიშკარიანი, თ. ქირია, მ. ხუხია, ფ. წურწუმია, ვ. ფოცხორაია, ნ. ბოკუჩავა, ლ. ადანაია, გ. ქარდავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N19 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის

დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობაზე მოხელის დანიშვნის შემდეგ, უქმდება საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილებაში არსებული მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა. კომისიის მიერ მომზადა დადგენილების პროექტი: „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 19, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ჯიშკარიანი, ჯ. ჯიშკარიანი, თ. ქირია, მ. ხუხია, ფ. წურწუმია, ვ. ფოცხორაია, ნ. ბოკუჩავა, ლ. ადანაია, გ. ქარდავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N20 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით,

აზრი გამოთქვეს: მ. ქარდავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ საკრებულო მიესალმება უფასოდ ინგლისური ენის შემსწავლელი კურსის შექმნას, მაგრამ განათლებისა და განვითარების ცენტრ „თოლისკურსა“ და მერიას შორის შეთანხმება რომ დაიდო ფართის გადაცემასთან დაკავშირებით, აღნიშნული საკითხი საკრებულოსთან უნდა ყოფილიყო შეთანხმებული ან საკრებულოს თავმჯდომარე მაინც უნდა ყოფილიყო საქმის კურსში ჩაყენებული.

მ. რუხაძე - გამომსვლელმა განმარტა, რომ სამსახურის მიერ გაგზავნილ იქნა შუალედური წერილი უბრალოდ შეთანხმებასთან დაკავშირებით.

ლ. ქავთარაძე - გამომსვლელმა განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხი ურთიერთ შეთანხმებასთან დაკავშირებით, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის კომისიასთან უნდა ყოფილიყო შეთანხმებული. მისი განცხადებით მერიასა და საკრებულოს შორის აშკარა კომუნიკაციის პრობლემა არსებობდა, რომელიც სასწრაფოდ იყო გამოსასწორებელი.

დებატების დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ირიცხება თორსა - დღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ადმინისტრაციული შენობა, რომელიც არის დაუტვირთავი და არ არის კეთილმოწყობილი. 2023 წელს საზოგადოებრივი ორგანიზაცია განათლებისა და განვითარების ცენტრმა „თოლისკური“ მონაწილეობა მიიღო და გაიმარჯვა საგრანტო კონკურსში, რომელიც შეეხებოდა თორსა - დღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მერიის ბალანსზე რიცხულ ადმინისტრაციულ შენობაში არსებული 90 კვ.მ ფართის კეთილმოწყობას და შემდგომში უფასოდ

ინგლისური ენის შემსწავლელი კურსების დაფუძნებას 25 მოსწავლისათვის. მერია შემოდის წინადადებით აღნიშნული ფართი პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით, ორი წლის ვადით გადაეცეს განათლებისა და განვითარების ცენტრ „თოლისკურს" ადმინისტრაციულ ერთეულში უფასოდ ინგლისური ენის სწავლებისათვის. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 19, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ჯიშკარიანი, ჯ. ჯიშკარიანი, თ. ქირია, მ. ხუხია, ფ. წურწუმია, ვ. ფოცხორაია, ნ. ბოკუჩავა, ლ. ადანაია, გ. ქარდავა)

დაადგინეს. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ვერ იქნა მიღებული, სამართლებრივი აქტის მისაღებად საჭირო ქვორუმის არ არსებობის გამო

4. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

3. **ქანთარია** - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მერიას შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიიდან" უსასყიდლოდ ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე გადმოეცა ორი ერთეული სატვირთო ავტომანქანა (სატვირთო ბორტიანი „პიკაპი", სახელმწიფო N LL407-PL და 13 $მ^3$ მოცულობის ნარჩენების სატვირთო ავტომანქანა, სახელმწიფო N XP-560-PP. მერია შემოდის წინადადებით აღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალებები პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) არსებობის ვადით გადაეცეს შპს „ხობი დასუფთავება და განათებას", რაზედაც წარმოდგენილია განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ". გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 19, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ჯიშკარიანი, ჯ. ჯიშკარიანი, თ. ქირია, მ. ხუხია, ფ. წურწუმია, ვ. ფოცხორაია, ნ. ბოკუჩავა, ლ. ადანაია, გ. ქარდავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N15 ოქმს თან ერთვის)

5. „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2023 წლის მუნიციპალური პროგრამისა და თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N44 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: შ. კანკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2023 წლის მუნიციპალური პროგრამისა და თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N44 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა. იქვე განაცხადა, რომ ოჯახური პირობების გამო დღევანდელ სხდომას ვერ ესწრებოდა საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დოდო გაბუნია, გამომდინარე აქედან კომისიის დასკვნას წარმოადგენდა, ამავე კომისიის წევრი აკაკი მალანია, რომელსაც სთხოვა საკრებულოს წევრებისთვის წარედგინა დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ა. **მალანია** - საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, განკარგულებას „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2023 წლის მუნიციპალური პროგრამისა და თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ეცვლება სახელწოდება და ყალიბდება შემდეგი რედაქციით: „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის 2023 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ", ამასთან პროგრამაში ხანძრით და სტიქიით დაზარალებულთა დახმარების მუხლში გამოყოფილი თანხა 30 000 ლარი 2023 წლის იანვრის სტიქიისგან (ძლიერი ქარბორბალა) გამომდინარე არასაკმარისი აღმოჩნდა და დათვლილი ზარალის შესაბამისად, „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის N115 განკარგულების თანახმად მუნიციპალიტეტისთვის დამატებულ იქნა 272000 ლარი, შესაბამისად აღნიშნული მუხლი განისაზღვრა 302 000 ლარით და საბოლოო ჯამში პროგრამის ბიუჯეტმა შეადგინა 881 950 ლარი. ზემო აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად წარმოდგენილია განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და

ხელშეწყობის 2023 წლის მუნიციპალური პროგრამისა და თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022წლის 29 დეკემბრის N44 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 19, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ი. ჯიშკარიანი, ჯ. ჯიშკარიანი, თ. ქირია, მ. ხუხია, ფ. წურწუმია, ვ. ფოცხორაია, ნ. ბოკუჩავა, ლ. ადანაია, გ. ქარდავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N16 ოქმს თან ერთვის)

6. ხობის მუნიციპალიტეტის 2020 – 2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის თაობაზე

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო ანგარიში ხობის მუნიციპალიტეტის 2020 – 2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის თაობაზე (ოქმს თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ლიპარტია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით

ლ. ლიპარტია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა, წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოეგზავნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2023 წელს დამტკიცებული ხობის მუნიციპალიტეტის 2020-2021 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრთათვის

გასაცნობად და განსახილველად. ანგარიშში დეტალურადაა ასახული აუდიტის სამსახურის მიერ შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევები და მოყვანილია ფაქტები და გარემოებები. ძირითადად გამოვლენილია შემდეგი დარღვევები: ფინანსური რესურსების მართვაში არსებული ხარვეზები, დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტები, ხარვეზებით შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, დარიცხული და ამოუღებელი საჯარიმო თანხები, სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის დაუცველობა, პრეტენდენტების დაუსაბუთებელი დისკვალიფიკაცია, მოსახლეობის წყალმომარაგების პრობლემები, გამოუყენებელი სამშენებლო მასალები, მიუღებელი საიჯარო შემოსავლები, ა(ა)იპ – სამეგრელოს დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის დაფინანსების ხარვეზები, საკრებულოს წევრებზე დოკუმენტური დასაბუთების გარეშე გაწეული ხარჯები, დელეგირებული უფლებამოსილების საკუთარი შემოსავლიდან დაფინანსების ხარვეზები, დასუფთავების მოსაკრებლის არასათანადო ადმინისტრირება, საკონსულტაციო მომსახურების დაუსაბუთებელი შესყიდვა, საბანკო მომსახურების შესყიდვის ნაკლოვანება, საბიუჯეტო პროცესების ხარვეზები, ჩაუტარებელი ინვენტარიზაცია.

გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების საპასუხოდ, აუდიტის სამსახურმა გასცა რეკომენდაციები (სულ 12 რეკომენდაცია).

რეკომენდაცია №1: მერიამ შეიმუშაოს ფინანსური რესურსების მართვის სტრატეგია, რომლის საფუძველზეც განხორციელდება შემოსულობების სათანადო პროგნოზირება და ბიუჯეტში მყისიერი ასახვა. ამასთანავე, ბიუჯეტის განწერისას შეიმუშაოს კონტროლის დამატებითი მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს თავისუფალი ნაშთის დაგროვების პრევენციას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალური რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

რეკომენდაცია №2: მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს სამშენებლო სამუშაოების მიღება-ჩაბარების წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოქმედი სამშენებლო სტანდარტების დაცვით სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმები. დოკუმენტით ნათლად უნდა განისაზღვროს კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. აღნიშნული ხელს შეუწყობს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას, პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცედურის სათანადოდ წარმართვას და ხარისხიანი პროექტების ჩაბარებას. ამასთანავე, მერიამ შეისწავლოს პროექტების დაზიანების გამომწვევი მიზეზები და უზრუნველყოს მათი აღმოფხვრა.

რეკომენდაცია №3: მერიამ შეიმუშაოს წესი ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში საჯარიმო სანქციების ადმინისტრირების შესახებ. დოკუმენტით დეტალურად უნდა განისაზღვროს ჯარიმების გაანგარიშების, დარიცხვისა და ბიუჯეტში მობილიზების თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები, შემსრულებლები და შესაბამისი კონტროლის მექანიზმები; არ დაუშვას არაკეთილსინდისიერ მიმწოდებლებთან ხელშეკრულების გაფორმება და საბოლოო ანგარიშსწორება განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულების შესრულების შემთხვევაში; შეისწავლოს/გამოავლინოს ხარვეზების გამომწვევი მიზეზები და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები იმ პირების მიმართ, რომლებიც პასუხისმგებელი არიან საჯარიმო თანხების ამოღების სისტემურ პრობლემაზე.

რეკომენდაცია №4: მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს სამუშაოების მონიტორინგის წესი. დოკუმენტით დეტალურად უნდა განისაზღვროს გეგმა- გრაფიკით გაწერილი სამუშაოების მოცულობის დადასტურების პრინციპი გეგმა-გრაფიკის ყოველი კონკრეტული თარიღისათვის, ასევე კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. გეგმა-გრაფიკებით დადგენილი პირობების დაუცველობის შემთხვევაში მერიამ გაავრცელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული საჯარიმო სანქციები. აღნიშნული ხელს შეუწყობს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას, სამუშაოების ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში დასრულებასა და საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდას.

რეკომენდაცია №5: მერიამ შეიმუშაოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების წესი და განსაზღვროს კონტროლის დამატებითი მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს ხარისხიანი პროდუქტის შეძენას. აღნიშნული უზრუნველყოფს ფაქტობრივად შესასრულებელი სამუშაოებისა და რეალური ვადების განსაზღვრას და გააუმჯობესებს საბიუჯეტო ასიგნებების გეგმურ და თანაბარ ხარჯვას.

რეკომენდაცია №6: მერიამ, საკრებულოსთან შეთანხმებით შეიმუშაოს სტრატეგია, რომლის ფარგლებშიც დაგეგმავს და განახორციელებს კომპლექსურ ღონისძიებებს გონივრულ ვადაში მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესების მიზნით. სტრატეგია ასევე უნდა ითვალისწინებდეს პროცესის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას, მათ შორის წყალმომარაგების უზრუნველყოფას შესაბამისი ლიცენზიანტი სუბიექტის მეშვეობით და როგორც წყლის, ასევე საბიუჯეტო რესურსების რაციონალურ ხარჯვას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებასა და წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას.

რეკომენდაცია №7: საკრებულომ, მერიასთან შეთანხმებით, შეიმუშაოს წესი მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის, ასევე საწვავის განაწილებისა და ხარჯვის შესახებ, რომელიც მიზანშეწონილია დაფუძნებული იყოს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ პრინციპებზე. აღნიშნული დოკუმენტი ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო პარკის ოპტიმიზაციას და მოვლა-შენახვის ხარჯების რაციონალიზაციას. მერიამ დანერგოს საწვავის ხარჯვის კონტროლის მექანიზმები, მათ შორის, ალტერნატიულ პროცედურად შესაძლოა განხილულ იქნეს დამონტაჟებული საწვავის „ჩიპების" მთლიანობის შემოწმება ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ინვენტარიზაციისას; ასევე, სამორიგეო ავტომობილების სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების მონიტორინგის მიზნით, კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, შესაძლოა, განხილულ იქნეს სატელიტური (GPS) ან სხვა სახის ელექტრონული კონტროლის სისტემის დანერგვა. აღნიშნული ხელს შეუწყობს საწვავის რაციონალურად და მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებისათვის გამოყენებას.

რეკომენდაცია №8: მერიამ საკრებულოსთან ერთად შეიმუშაოს ქონების მართვის სტრატეგია და შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქონების განკარგვის პროცესის გაუმჯობესებას, ქონების თვითნებურად დაკავების თავიდან აცილებას ან/და დროულად გამოვლენას. ამასთანავე, მერიამ გაატაროს ქმედითი ღონისძიებები გადაუხდელი საიჯარო ქირისა და დარიცხული საურავის ადგილობრივ ბიუჯეტში მობილიზების მიზნით.

რეკომენდაცია №9: მერიამ იმსჯელოს დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობის დაფინანსების საკითხზე. სათანადოდ დაასაბუთოს და მოითხოვოს დელეგირებული უფლებამოსილებისათვის გამოყოფილი ტრანსფერის მოცულობის გაზრდა ან შეამციროს ხარჯები და საქმიანობა განახორციელოს გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში. აღნიშნული უზრუნველყოფს საქმიანობის უფრო ეკონომიურად განხორციელებას და საბიუჯეტო ხარჯების ოპტიმიზაციას.

რეკომენდაცია №10: მერიამ, საკრებულოსთან შეთანხმებით მჭიდროთ იანამშრომლოს ა(ა)იპ – კავშირი საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციასთან და საჭიროებიდან გამომდინარე დაგეგმოს ერთობლივი ღონისძიებები მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების, პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებისა და ზოგადი განვითარებისათვის. აღნიშნული დაზოგავს საბიუჯეტო თანხებს და ხელს შეუწყობს საქმიანობის კოორდინაციასა და გაუმჯობესებას.

რეკომენდაცია №11: მერიამ უზრუნველყოს დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა ბაზის შექმნა და წლის განმავლობაში მისაღები მოსაკრებლის ოდენობის გაანგარიშება. ასევე შეიმუშაოს და დანერგოს დასუფთავების მოსაკრებლის გადახდევინების ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსაკრებლის სახით მისაღები შემოსავლების ბიუჯეტში მობილიზებას. მათ შორის, შესაბამისი უწყებების ჩართულობით, მიზანშეწონილია დაიწყოს მუშაობა მოსაკრებლის გადახდის ალტერნატიული და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვაზე, რაც შეამცირებს მოსაკრებლის ადმინისტრირებისათვის დახარჯულ რესურსს და ამასთანავე, გაზრდის ამოღების მაჩვენებელს.

რეკომენდაცია №12: მერიამ განახორციელოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც უზრუნველყოფს აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენას, მათ შედარებას ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან, ინვენტარიზაციის შედეგების დადგენას და შესაბამისი მატერიალურად პასუხისმგებელი პირების გამოვლენას. აღნიშნული გაზრდის მუნიციპალური აქტივების დაცულობის ხარისხს.

„წარმოდგენილმა აუდიტორულმა დასკვნებმა არ უნდა მიიღოს მარტო გაცნობითი ხასიათი, აუდიტის ობიექტმა უნდა დაისახოს ღონისძიებათა სისტემა მდგომარეობისა და აღნიშნული ხარვეზების გამოსწორების და მომავალში არ დაშვების მიზნით, მიზანშეწონილია ხობის მუნიციპალიტეტის მერიამ, მერიის სტრუქტურულმა ერთეულებმა სათანადო შეფასება მისცენ შესაბამისობის აუდიტის დასკვნებში მითითებულ დარღვევებს, მიზნად დაისახონ აღნიშნული და მსგავსი ხასიათის დარღვევების თავიდან აცილება, გაითვალისწინონ სახელმწიფო აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციები და საქმიანობა წარმართონ კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისმა კომისიებმა განახორციელონ კონტროლი მერიის მხრიდან აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე „ადგილობრივ თვითმმართველობის კოდექსი"-ს შესაბამისად" - განაცხადა ლ. ლიპარტიამ.

დაადგინეს: დაევალოს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, კომისიის მიერ მომზადებული დასკვნის შესაბამისად მონიტორინგის განხორციელება მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე, რაზედაც წერილობით ეცნობოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურს და მუნიციპალიტეტის მერიას.

7. საკრებულოს წევრის მ. იოსავას მოხსენება.

მოისმინეს: მ. იოსავა - გამომსვლელი მიესალმა საკრებულოს თავმჯდომარეს, კოლეგებს და დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა: „წინა საკრებულოს სხდომაზე ვცდილობდი მსჯელობის დაწყებას მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობის გაუმჯობებაზე, როცა „ქართული ოცნების" წევრებმა გარდა ორი წევრისა, პირნათლად შეასრულეთ ხობის „პატარა არქიპოს" დავალება და დატოვეთ საკრებულოს სხდომა, რის შემდგომ არსებულ პრობლემებზე ვიმსჯელე საკრებულოს ოპოზიციის წევრებთან და მერიის თანამშრომლებთან ერთად. ბატონო თავჯდომარე, პატივცემულო კოლეგებო „ქართული ოცნებიდან" მინდა გკითხოთ რატომ არღვევთ კანონს და საკრებულოს რეგლამენტს? რატომ არაა კომისიების მიერ მომზადებული რეკომენდაციები, რომელიც მოწონებულ და დამტკიცებულ უნდა იყოს საკრებულოს მიერ. რეგლამენტს, რომ არღვეთ ამის დასაბუთების მიზნით შეგახსენებთ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-8 მუხლს, რაც ითვალისწინებს საკრებულოს საქმიანობის ძირითად პრინციპებს: ა) კანონიერება; ბ) საჯაროობა; გ) კოლეგიურობა; დ) დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა; ე) წარმომადგენლობითი პროპორციულობის დაცვა; ვ) მუნიციპალიტეტის მოსახლეობის აზრის გათვალისწინება; ზ)ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართვის უზრუნველყოფა; თ) ანგარიშვალდებულება მოსახლეობის წინაშე. სამწუხაროდ საკრებულოს საქმიანობის ძირითადი პრინციპების უმრავლესობას „ქართული ოცნების" წევრები არ ასრულებთ და რიგ შემთხვევებში არღვევთ კანონს. ბატონო თავმჯდომარე, ხუთი თვის წინ წერილობით მოგმართეთ საკრებულოს სხდომების სოციალური ქსელით ლაივ-ტრანსლირებისა და ხობის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტით გათვალისწინებული პრიორიტეტული საკითხების შესასრულებლად საჭირო რეკომენდაციების შემუშავებაზე. საკრებულოს სხდომების სოციალური ქსელით ლაივ-ტრანსლირების განცხადებაზე პასუხი არ გაგიციათ, რითაც დაარღვიეთ კანონი, კერძოდ განცხადებაზე პასუხის გაცემის ვადა და რეგლამენტის ძირითადი პრინციპების „ზ" და „თ" პუნქტები. მე წინა სხდომაზეც გითხარით აუდიტის სამსახურის წარმომადგენელი არ ვარ მეთქი და საერთოდ ყველას კარგად ყოფნას და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ, მაგრამ ერთ დროს შეიძლება მოვიდეს „ყველის პატრონი" და გკითხონ თქვენს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებების კანონიერებაზე. საკრებულოს წინა სხდომებზე კოლეგიურობაზე რომ გელაპარაკეთ, ცილი დამწამეთ, სარგოზე და პირად ინტერესების მეტზე არაფერზე არ ლაპარაკობო. მე თქვენ აღნიშნულ საკითხზე რომ გელაპარაკეთ იმაზე მეტი რა უნდა გელაპარაკოთ, როცა საკუთარ პარტიის წევრებს არ სცემთ პატივს და იმათ არ აძლევთ კუთვნილ სარგოს რა უნდა გითხრათ. სარგო გვეკუთვნის 744 ლარი და გვაძლევთ 500 ლარს, პარლამენტის

წევრის (დაჩი ბერაია) პოლიტიკური ნება ყოფილა ასეთი. დამოუკიდებელ პასუხისმგებლობას და წარმომადგენლობით პროპორციულობას იყენებთ ისე როგორც „პატარა არქიპო“ დაგიბარებთ და სამწუხაროდ დამოუკიდებლად ვერავითარ გადაწყვეტილებას ვერ ღებულობთ. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის აზრის გათვალისწინებაზე და მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ლაპარაკის სურვილი უმრავლესობის წევრებს არ გაგაჩნიათ, ტოვებთ საკრებულოს სხდომას, თავის შეწუხება და რეკომენდაციების შემუშავება არ გინდათ, დაბალეფექტურად ახორციელებთ საკუთარ უფლება-მოვალეობებს და მსჯელობაც არ გინდათ ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაზე. სამუშაო ჯგუფის შექმნაზე, სხვისი გადაწყვეტილების და დავალების გამო უარი მითხარით, მეხუთე თვეა კომისიამ არცერთი რეკომენდაცია არ მოამზადა და გაფართოებული კომისიების სხდომაზე ზერელედ განიხილეთ მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი საკითხები. წინა სხდომაზე დარჩენილ საკრებულოს წევრებთან და მერიის თანამშრომლებთან ერთად განვიხილე შესამუშავებელი რეკომენდაციები განაშენიანების გენერალური გეგმის, წყალმომარაგების, ნარჩენების მართვის, პარკირებისა და ტრანსპორტის რეგულირების წესის, მაწანწალა ძაღლების, სპორტული ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეგილიტაციის და სხვა მრავალი საკითხების მოგვარებაზე. ჩემს მიერ მომზადებული რეკომენდაციები საჭიროებს სრულყოფილად განხილვას, ვადების დაზუსტებას და საბოლოო სახით ჩამოყალიბებას, რისთვისაც აუცილებელია უახლოეს პერიოდში კომისიის სხდომების მოწვევა და საკითხების დეტალური განხილვა განხორციელდეს დარგების მიხედვით შესაბამის სპეციალისტებთან ერთად. მომავალ საკრებულოს სხდომამდე კომისიის მიერ მომზადებული რეკომენდაციები უნდა წარედგინოს საკრებულოს და მოწონების შემდეგ გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას შესასრულებლად“ - განაცხადა მან.

სხდომის თავმჯდომარემ (მ. ქარდავა) მიმართა გამომსვლელს და შეახსენა რომ, ის რა საკითხებზეც იყო წერილობით შემოსული, ყველას გაეცა შესაბამისი პასუხები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე მამუკა ქარდავა

მეხუთე მოწვევის საკრებულოს 2023 წლის 28 ივნისის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ლევან ქავთარაძე
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა ქაჯაია
4. ლევანი ლიპარტია
5. ბექა მამაცაშვილი
6. ვლადიმერ ქანთარია
7. მედეა თათარიშვილი
8. ნუგზარ შუშანია
9. აკაკი მალანია
10. კობა გერგაია
11. მაკა ჩარტია
12. აკაკი ხურცილავა
13. ბადრი რიჟამაძე
14. ფრიდონი კუკავა
15. ბექა ხარბედია
16. მალხაზ იოსავა
17. მზია ლემონჯარია
18. გივი ლატარია
19. ბესიკი თამლიანი